საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თვალაბეიშვილი სერგო არსენის ძე

თვალაბეიშვილი სერგო არსენის ძე (1896, სოფ. საპაიჭაო, ახლანდ. ვანის მუნიციპალიტეტი – 1927) საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. 1921–24 საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დას. საქართველოში. 1917-იდან საქართვ. ს.-დ. (მენშევიკური) პარტიის წევრი. 1918–21 თ. იყო საქართვ. სახ. გვარდიის ვანის რ-ნის შტაბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და საქართველოს ანექსიის (1921 თებ.-მარტი) შემდეგ აქტიურად ჩაება ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1922–24 იყო საქართვ. დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხ. ცენტრის რწმუნებული ვანის რ-ნში, სადაც ხელმძღვანელობდა 1924 აგვ. აჯანყებისთვის (იხ. აგვისტოს აჯანყება 1924) მზადებას. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1924 სექტ., თ. დააპატიმრა საქ. სსრ „საგანგებო კომისიამ" (ე. წ. „ჩეკამ"). გათავისუფლების შემდეგ, 1925–27, ეწეოდა არალეგალურ *პოლიტ.* მოღვაწეობას. ხელმძღვანელობდა საქართვ. ს.-დ. პარტიის რაიონულ იატაკქვეშა ორგანიზაციას. მოკლულ იქნა „ჩეკას" მიერ 1927.

ლიტ.: დ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ო., ქართული ეროვნული სულის უკვდავება, ქუთ., 2005.

ლ. ურუშაძე